საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 77-02
18/01/2019

,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის N3596-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების", აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 ნოემბრის N12 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2018 წლის 20 ნოემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **ბიზნესის სკოლაში მენეჯმენტის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ " N3596-02 ბრძანების მე-7 პუნქტში, კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2019 წლის 1 თებერვალს, ნაცვლად 2019 წლის 22 იანვრისა და შესაბამისად, ცვლილების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7. კონკურსის შედეგი გამოცხადდეს 2019 წლის 1 თებერვალს."

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: ბიზნესის სკოლა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი